



შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“

ასფალტბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის

სკრინინგის განცხადება

ამბროლაური
2021

შინაარსი

1	შესავალი	3
2	მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა	4
2.1	ასფალტბეტონის საწარმოს განთ. ვსეზის ტერიტორია და ინფრასტრუქტურა.....	4
2.2	ასფალტბეტონის საწარმოში დაგეგმილი ცვლილება.....	13
3	საპროექტო ტერიტორიის კვლევის შედეგები	16
3.1	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.....	16
3.2	ხმაურის გავრცელება.....	16
3.3	გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.....	21
3.4	ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება.....	21
3.5	ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება.....	22
3.6	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.....	22
3.7	ნარჩენების მართვა.....	23
3.8	სოციალურ გარემოზე ზემოქმედება.....	23
3.9	კულტურული ზემოქმედება.....	23
4	გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება	24

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს შპს „ამბროლაურის აგტოგზა 10“-ს ასფალტბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადების მთავარ დანართს.

საწარმო მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შარდომეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე. საწარმოს ტერიტორიის ფართი (ს/კ: 88.10.27.013) შეადგენს 10000 მ²-ს, რომელზეც განთავსებულია ასფალტის ქარხანა, ინერტული მასალების სამსხვრევე-დამხარისხებელი საამქრო და მათი ოპერირებისათვის საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურა.

ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და შესაბამისი თანხლები დოკუმენტების: „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტისა“ და „ასფალტის ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივების“ და მათი გათვალისწინებით მომზადებულ 2013 წლის 30 ოქტომბრის N 56 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 05 ნოემბრის №286 ბრძანების მიხედვით „ლიცენზიისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4-ე პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს „ამბროლაურის აგტოგზა N 10“-ზე, განუსაზღვრელი ვადით გაიცა N 000030 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (კოდი MD1, 5 ნოემბერი 2013 წელი), ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული ვალდებულებით შპს „ამბროლაურის აგტოგზა 10“-ის 2020 წლის 11 ნოემბრის N 34 წერილის საფუძველზე, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ“ 2020 წლის 26 ნოემბრის №2-1094 ბრძანებით გასცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ინერტული მასალების წარმოება ხდებოდა საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ, რუსული წარმოების, CMD-109 მარკის ქვის სამსხვრევე-დამხარისხებელ საამქროში, რომლის საექსპლუატაციო მწარმოებლობა შეადგენდა 10 მ³/სთ-ში, აღნიშნული სამსხვრევე-დამხარისხებელი დანადგარი ტექნოლოგიურად მთლიანად იყო ამორტიზირებული და მისი სრული რეაბილიტაცია საწარმოო ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკურად არ იქნებოდა გამართლებული, შესაბამისდ გამოშვებული პროდუქცია ადარ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს და გაზრდილ მოთხოვნებს. საწარმოს დამფუძნებელთა და ინჟინერ ტექნიკური პერსონალის 2020 წლის 02 მარტის საერთო კრების (ოქმი N 55) დადგენილების შესაბამისად, შემდგომში საწარმოს კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება არსებული CMD-109 მარკის დანადგარის, თურქული წარმოების, GM-PST03 ტიპის, შეორადი (განახლებული), ქვის სამსხვრევი ხაზის კომპლექტით ჩანაცვლების თაობაზე: აღნიშნულის ცვლილების შესახებ საწარმომ 2020 წლის 23 სექტემბრის N 27 წერილით (რეგისტრაციის N 15144 – 25 სექტემბერი 2020 წელი) მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვინაიდან საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II თავის, მუხლი 5-ის, მე-12-ე პუნქტის მიხედვით- „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“, შესაბამისად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 19 ოქტომბრის N 9803/01 წერილით კომპანიას ეცნობა, რომ დაგეგმილი ქმედება სკრინინგის პროცედურისადმი

დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, შესაბამისად მომზადდა სათანადო ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შესახებ მოყვანილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შესახებ

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შესახებ	
საქმიანობის სახე	ასფალტბეტონის საწარმოს ოპერირება
კომპანიის დასახელება	შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“
კომპანიის ოფისის მისამართი	ამბროლაური, ვაჟა ფშაველას #11
საიდენტიფიკაციო კოდი	222934243
ასფალტბეტონის საწარმოს მისამართი	ქ. ონი, სოფ. შარდომეთი
ასფალტბეტონის საწარმოს დირექტორი	როსტომ ბერაძე
ტელეფონი	599244937
ელ. ფოსტა	ambrolaurisavtogza10@gmail.com

2 მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

2.1 ასფალტბეტონის საწარმოს განთავსების ტერიტორია და ინფრასტრუქტურა

შპს „ამბროლაურის ავტოგზა №10“ ასფალტბეტონის ქარხანა განთავსებულია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს მეორე ტერასაზე, სოფ. შარდომეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირდაპირი მანძილი ასფალტბეტონის ქარხნიდან სოფ. შარდომეთის უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე შეადგენს დაახლოებით 150 მ-ს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფ. ახალი ჩოდის საცხოვრებელ სახლებამდე 600-890 მ-ს, საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობები განლაგებულია ღია ცის ქვეშ. ხოლო ქარხნის ტერიტორიის (ს/კ: 88.10.27.013) საერთო ფართობი შეადგენს 1 ჰა-ს, იხ. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი ასევე, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება) N56, ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი.

ქარხნის მიმდინარე საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა მარკის ასფალტბეტონის სარევის წარმოებას, რისთვისაც იგი უზრუნველყოფილია საჭირო დანადგარებითა და დამხმარე ინფრასტრუქტურით.

ქარხანაში პროდუქციის დაშვადების ტექნოლოგიურ სტეპებს ახასიათებს ერთგვაროვნება და ძირითადად მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

- მასალების მიღება (ბითუმი, ღორღი, ქვიშა, მინერალური ფხვნილი, დიზელის საწვავი და სხვა);
- მიღებული მასალების ხარისხის კონტროლი;
- მასალების დროებითი დასაწყობება;
- მასალების წინასწარ მომზადება;
- მასალების ადგილობრივ ტრანსპორტირება მომზადების ადგილიდან მათი გამოყენების ადგილამდე;
- პროდუქციის დაშვადება;
- შუა პროდუქციის ხარისხის კონტროლი;
- პროდუქციის დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებზე და გატანა საწარმოს ტერიტორიიდან;
- საწარმოო ნარჩენების მართვა (გაუვნებლობა უტილიზაცია).

ქარხნის მიმდინარე საქმიანობის განსახორციელებლად ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი საწარმოო ობიექტები და შენობა-ნაგებობები:

- ასფალტბეტონის ქარხანა;
- ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო;
- დიზელის საწვავის საცავი;
- სატრანსფორმატიორო ჯიხური;
- ადმინისტრაციული შენობა;
- შენობა დამხმარე მასალების დროებითი დასაწყობებისათვის;
- ავტოსადგომი.

ტექნოლოგიური მოწყობილობები:

- ასფალტშემრევი DC-158 წარმადობით 45 ტ/სთ;
- ბითუმის გადმოსატვირთვი ტუმბო;
- ლენტური ტრანსპორტიორი ასფალტის 2 ც. სიგრძით 14 და 12 მ;
- ლენტური ტრანსპორტიორი ქვიშა-ხრუმის გამდიდრების 5 ერთ;
- ქვის სამსხვრევი CMD-109 (1 ცალი) წარმადობით 10 მ³/სთ;
- ვიბროცხავი CMD-121 (1 ცალი) წარმადობით 10 მ³/სთ;
- კონუსური სამსხვრევი 1ც;
- კლასიფიკატორი k- 12/65 - 1 ცალი;
- ავტოთვითმცლელები, ექსკავატორი, ბითუმშხიდი, სხვა მოძრავი ტრანსპორტი (რაოდენობა 12 ერთ);
- მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა მოცემულია სურათზე 2.1.3. ხოლო გენერალური გეგმა - ნახაზზე 2.1.4.

ტექნიკური წყალმომარაგების წყაროდ გამოყენებულია საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი ხელოვნური გუბურა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ რეზერვუარს და საიდანაც დანადგარზე წყლის მიწოდება ხდება ტუმბოს საშუალებით; ემბრაციულ ცხავზე მიწოდებული დამახვრეული მასალის რეცხვის შედეგად გამოიდევენება ლამი; ქვის სამსხვრევი ხაზის განლაგების მთელი ტერიტორიის ნავთობპროდუქტებით დაბინძურება და რეცხვის შედეგად გამოყოფილ ლამის მასაში მათი მოხვედრა არ ხდება. შესაბამისად ლიცენზირებულ კარიერში აღებული ქვიშა-ხრუმოვანი მასალა, რაოდენობის შეწონილი ნაწილაკებითაც იყო დაბინძურებული, ტექნოლოგიური დამუშავებისა და რეცხვის შემდეგ იგივე რაოდენობის შეწონილი ნაწილაკების ჩადინება მოხდება მილსადენით ქვის სამსხვრევი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარში;

ვინაიდან საწარმოში ინერტული მასალის, ქვა-ღორღის მსხვრევა ხორციელდება სველი მეთოდით საწარმო საჭიროებს ტექნიკური წყლით წყალმომარაგებას, რომელიც ხორციელდება მდინარე რიონის წყლით.

მდ. რიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია მცირე ზომის ხელოვნური გუბურა საიდანაც დანადგარზე წყლის მიწოდება ხორციელდება ტუმბოს საშუალებით (იხ. სურათი 2.1.1.).




სურათი 2.1.1. ტექნიკური წყლის ასაღები გუბურა და ტუმბო დანადგარი

გამოყენებული საწარმოო-ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების გაწმენდისთვის მოწყობილია სალექარი და ნავთობდამჭერი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვიშა-ლორღის დაშხადების პროცესში საწარმოო წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება არ ხდება და ნავთობ დამჭერი გათვალისწინებულია მხოლოდ ასფალტშემრევი დანადგარის ტერიტორიაზე მოსული სანიაღვრე წყლების გასაწმენდად.


რაც შეეხება ინერტული მასალის მსხვრევის პროცესში წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებს, იგი ჩაედინება სასხვრევის გვერდით მოწყობილ სალექარში (იხ. სურათი 2.1.2.), მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, უზრუნველყოფს წყლის სათანადო დონეზე გაწმენდას, პერიოდულად ხორციელდება მასში დაგროვილი ლამის ამოღება და სათანადო მართვა. ლამი წარმოადგენს სუფთა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე სასუქად ვარგის მდიდარ მასალას, ხორციელდება აღნიშნული მასალით სავარგულების განოყიერება.




სურათი 2.1.2.1. საქარბოს ტერიტორიაზე არსებული საღებავი




Նկար 2.1.3. Վերականգնողական ծրագրի շրջանակներում կառուցվող Ս. Սարգսյանի հիշատակին նվիրված հուշահամալիրը




Նյութաձև 2.1.4. Վերականգնողական ջրաբերական կայանի շինարարական նկարագիրը



სურათი 2.1.5. აწორი-საფარიანი სარწყავი არხის მშენებლობის დასრულება



სურათი 2.1.6. აბრეშქაშის 33-სა და 10-ს აბრეშქაშის დასაყრდენი



სურათი 2.1.7. აშშ-ის დასავლეთის კალკონის 10-ს აბაზონის საბუნებრივი დასაცავი

2.2 ასფალტბეტონის საწარმოში დაგეგმილი ცვლილება

შპს „ამბროლაურის ავტოგზა N 10“-ის ასფალტბეტონის ქარხანა და ქვასამსხვრევი დანადგარი განთავსებულია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს მეორე ტერასაზე, სოფ. შარდომეთის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 88.10.27.013).

ასფალტბეტონის ქარხანა და ქვა-ღორდის სამსხვრევი ფუნქციონირებს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და შესაბამისი თანმშლები დოკუმენტების: „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტისა“ და „ასფალტის ქარხნის ექსპლოატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივების“ გათვალისწინებით მომზადებულ 2013 წლის 30 ოქტომბრის N 56 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 05 ნოემბრის №-286 ბრძანების შესაბამისად შპს „ამბროლაურის ავტოგზა N 10“-ზე განუსაზღვრელი ვადით გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (N 000030, კოდი MD1.5 ნოემბერი 2013 წელი), ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული ვალდებულებით შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“-ის 2020 წლის 11 ნოემბრის N 34 წერილის საფუძველზე, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ“ 2020 წლის 26 ნოემბრის №2-1094 ბრანებით გასცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

სამინისტროსთან შეთანხმებული გზშ-ს დოკუმენტაციის თანახმად საწარმოს ტერიტორიიდან სოფ. შარდომეთის უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებული იყო 250მ-ით. რეგიონში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების გამო აღნიშნული მდგომარეობა შეიცვალა, დღეისათვის ასფალტბეტონის ქარხნის განთავსების წერტილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 150 მ-ის დაშორებით საწარმოს ტერიტორიიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე, სოფ. ახალი ზორდის საცხოვრებელ სასლებამდე მანძილი უცვლელია და დაახლოებით 600 მ-ს და 890 მ-ს შეადგენს. ქარხნის ტერიტორიის საერთო ფართობი 10 000 მ²-ია (1 ჰა).

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს ტერიტორიიდან ყველაზე ახლოს მდებარე სახლი წინამდებარე ანგარიშში განიხილება ზემოქმედების რევეპტორად და შეფასებები გაკეთებულია აღნიშნული საცხოვრებელი სახლის გათვალისწინებით.

გასულ წლებში ინერტული მასალების წარმოება ხდებოდა საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ, რუსული წარმოების, CMD-109 მარკის ქვის სამსხვრევე-დამხარისებელ სააქროში, რომლის საექსპლოატაციო მწარმოებლობა შეადგენდა 10 მ³/სთ-ში, ინერტული მასალების მოპოვება ხდებდა შპს „ამბროლაურის ავტოგზა N 10“-ის კუთვნილი სოფ. სორის ტერიტორიაზე მდებარე კარიერიდან, რაზედაც კომპანიას გააჩნია შესაბამისი ლიცენზია. კარიერიდან საწარმოს ტერიტორიაზე ინერტული მასალების ტრანსპორტირება ხდებდა თვითმცლელი ავტომანქანებით და თავსდება მიმღებ ზაქანზე, საიდანაც სახარჯ ბუნკერში იყრება ფრონტალური დამტვირთველით, აღნიშნული სამსხვრევე-დამხარისებელი დანადგარი ტექნოლოგიურად მთლიანად იყო ამორტიზირებული და მისი სრული რეაბილიტაცია საწარმოო ინტერესებთან გამომდინარე ეკონომიკურად არ იქნებოდა გამართლებული, შესაბამისდ გამოშვებული პროდუქცია აღარ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს და გაზრდილ მოთხოვნებს. საწარმოს დამფუძნებელთა და ინჟინერ ტექნიკური პერსონალის 2020 წლის 02 მარტის საერთო კრების (ოქმი N 55) დადგენილების შესაბამისად, შემდგომში საწარმოს კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება არსებული CMD-109 მარკის დანადგარის, თურქული წარმოების, GM-PST03 ტიპის, მეორადი (განახლებული), ქვის სამსხვრევი ხაზის კომპლექტით ჩანაცვლების თაობაზე, ტექნოლოგიური ხაზის ცვლილების პროცესში არ

არის დაგეგმილი ახალი ტერიტორიის ათვისება, თურქული წარმოების GM-PST03 ტიპის ქვის სამსხვრევი დანადგარი (დანართ 1-ში იხ. სავასპორტე ინფორმაცია) განთავსდება არსებული CMD-109 მარკის ქვის სამსხვრევი დანადგარის ადგილას, არ შეიცვლება პირველადი ნედლეულის - ქვიშა-ხრეშოვანი მასალის და მიღებული შუა პროდუქციის - სხვადასხვა ფრაქციის ქვიშა-ღორღოვანი ნარევების სანაყროები. ასევე უცვლელი დარჩება წყალაღების და წყალჩადინების ადგილები. ქვასამსხვრევის როგორც ძველი, ისე ახალი სამსხვრევი დანადგარის დემონტაჟი/მონტაჟი არ არის დაკავშირებული რთულ სამშენებლო პროცესებთან, რომლისთვისაც საჭირო არაა მასშტაბური მიწის სამუშაოები, ან სხვა ხანგრძლივი პროცედურები.

როგორც ზემოთ აღინიშნა რუსული წარმოების, CMD-109 მარკის ქვის სამსხვრევი-დამხარისხებელ სააქრო ჩანაცვლდება GM-PST03 ტიპის მეორადი ქვის სამსხვრევი ხაზით, რომლის მუშაობის სქემა არის შემდეგი: 2018 წელში გამოშვებულ, მეორად, სრულად განახლებულ GM-10 მოდელის მიწოდების ბუნკერიდან ინერტული მასალა მიეწოდება 2018 წელში გამოშვებული მეორად, სრულად განახლებულ GM-K03 მოდელის ყბიან სამსხვრევეში, სადაც მოხდება მსხვილი დიამეტრის ქვების დამსხვრევა, სამსხვრევი დანადგარიდან დამსხვრეული მასალა ლენტური კონვეიერით გადავა 2016 წელში გამოშვებულ მეორად, სრულად განახლებულ GM-STE4-2460 მოდელის ვიბრაციულ საცერზე, დაემატება ტექნიკური წყალი (ტექნიკური წყალი აიღება მდ. რიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია მცირე ზომის ხელოვნური გუბურიდან და გამოიყენება მსხვრევის პროცესში ლამის მოსაცილებლად) და მოხდება ფრაქციონირება, ფრაქციონირების პროცესში გამოიყოფა ინერტული მასალის სამი ფრაქცია: (0-5) მმ, (5-10) მმ და (10-20) მმ დიამეტრის ქვიშა-ღორღოვანი ნარევები, რომლებიც ლენტური ტრანსპორტიორებით დაიყრება შესაბამის სანაყროებზე; ვიბრაციულ საცერზე დარჩენილი 20 მმ-ზე მეტი დიამეტრის ქვები გადავა 2015 წელში გამოშვებულ მეორად, სრულად განახლებულ GM-PST03 მოდელის მეორეული დარტყმის ტიპის სამსხვრევეში, რომლის გავლის შემდეგ დამსხვრეული მასალა ტრანსპორტიორით დაიყრება ყბიანი ქვასამსხვრევიდან ვიბრაციული საცერისკენ მიმართულ ტრანსპორტიორზე, გაივლის ვიბროსაცერში, მოხდება ხელახალი ფრაქციონირება და ფრაქციონირებული ქვიშაღორღოვანი ნარევები ლენტური ტრანსპორტიორებით დაიყრება შესაბამის სანაყროებზე, გარდა ზემოთ აღნიშნული ფრაქციებისა შესაძლებელი იქნება (20-30) მმ და (20-40) მმ დიამეტრის ფრაქციების ღორღოვანი ნარევების დაშლად, იმისდა მიხედვით, თუ, როგორი ზომის უჯრედებიანი ბადე იქნება დაყენებული ვიბრაციულ საცერზე; საფუძვლის (0-40) და (0-70) მმ ფრაქციის ქვიშა-ღორღოვანი ნარევის მოსაღებად მოხდება ქვიშა-ხრეშოვანი მასალის მიწოდება ყბიან ქვასამსხვრევეში, რომლის გავლის შემდეგ დამსხვრეული მასალა გადავა ლენტურ ტრანსპორტიორზე, გაივლის მეორეული დარტყმის ტიპის სამსხვრევეში და დაიყრება შესაბამის სანაყროზე;

დაშლადებული ქვიშა-ღორღოვანი ნარევები და მათი გამოყენებით წარმოებული ასფალტბეტონის და ცემენტ ბეტონის პროდუქცია იქნება უმაღლესი ხარისხის და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებთან.

როგორც გზშ-ს ანგარიშშია აღნიშნული სამსხვრევი-დამხარისხებელი დანადგარის ტექნიკური წყალმომარაგების წყაროდ გამოყენებულია საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი ხელოვნური გუბურა, დანადგარზე წყლის მიწოდება ხდება ტუმბოს საშუალებით, სამსხვრევი დანადგარი ფუნქციონირებს ტექნიკური წყლის გამოყენებით, ინერტული მასალის მსხვრევა მიმდინარეობს სველი წესით და გამოიყენება დამსხვრეული მასალისთვის ლამის მოსაცილებლად.

ვიბრაციულ ცხავზე მიწოდებული დამსხვრეული მასალის რეცხვის შედეგად გამოიდეგნება ლამი; აღსანიშნავია, რომ ქვის მსხვრევის პროცესში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ინერტული მასალა და ლამი, შესაბამისად ნავთობპროდუქტებით დაბინძურება და რეცხვის

შედეგად გამოყოფილ ლამის მასაში მათი მოხვედრა არ ხდება. გამოყენებული წყალი მილსადენით ჩაედინება ქვის სამსხვრევი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარში, იწმინდება სათანადო დონეზე და ჩაედინება მდ. როინში.

სამსხვრევი დანადგარისთვის წყალადების და წყალჩაშების კოორდინატები არ შეცვლილა და შემდეგია:

- წყალადება: X - 363549; Y - 4714143.
- წყალჩაშება: X - 363571; Y - 4714179.

რელიზატორი კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით GM-PST03 ტიპის მეორადი (განახლებული) ქვის სამსხვრევი დანადგარი ძირითადად გათვალისწინებულია ნაკლებად მკვრივი კირქვოვანი ქანების დასამსხვრევ-დასახარისხებლად და მისი საექსპლოატაციო მწარმოებლობა შეადგენდა 100 მ³/სთ-ს, საწარმოს შემთხვევაში ინერტული მასალების მოპოვება ხდება სოფ. სორის ტერიტორიაზე მდებარე კარიერიდან, რომლის სამთო მინაკუთვნი აგებულია შედარებით მტკიცე ალუვიური ნალექებით და წარმოდგენილია ხრეშისა და ქვარგვალეზის სახით; საწარმო-ტექნოლოგიურ ციკლზე ინტენსიური დაკვირვების შედეგად სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მაქსიმალურმა საექსპლოატაციო მწარმოებლობამ, ხაველად 100 მ³/სთ-სა, შეადგინა 35-40 მ³/სთ გზშ-ს დოკუმენტაციის მიხედვით სამსხვრევ დამხარისხებელი საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენდა 24 000 ტ/წელ. (36 000მ³/წელ.). ახალი დანადგარის დამონტაჟების შემდგომ წლიური წარმადობა გაიზარდება 32 000 ტ/წელ-მდე. (48 000მ³/წელ). შესაბამისად სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს წარმადობა გაიზარდება 1.33-ჯერ.

იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება მოთხოვნილება ქვიშა-ლორღოვან პროდუქციაზე, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში სამსხვრევი დანადგარი წელიწადში დაიტვირთება 150 დღის განმავლობაში, საწარმო იმუშავებს ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით, ცვლის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს, დაგეგმილი ცვლილების ფარგლებში საწარმოს წარმადობა მააღწევს დაახლოებით 150 დღე x 8 სთ x 40 მ³/სთ = 48 000 მ³ წელიწადში (32 000ტ/წელ.).

აღსანიშნავია, რომ გზშ-ს მიხედვით ასფალტბეტონის შემრევი დანადგარის წლიური სამუშაო რეჟიმი წელიწადში 200 დღე, დღეში 8 სთ-იანი სამუშაო გრაფიკით (1600 სთ/წელ.), რომელიც არ შეიცვლება.

ტექნოლოგიური ხაზის ცვლილების და ექსპლატაციის პროცესში გარემოს რეკონსტრუქციულ ზემოქმედების ზრდა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან დანადგარი აკმაყოფილებს მაღალ გარემოსდაცვით სტანდარტებს.

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური ცვლილება არ ეხება ასფალტბეტონის დანადგარს (მათ შორის არც სამუშაო გრაფიკს) ან ტერიტორიაზე განთავსებულ სხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს (შენობას, ავზებს ან სხვა ინფრასტრუქტურას).

ტექნოლოგიური ხაზის ცვლილების პროცესში არ არის დაგეგმილი ახალი ტერიტორიის ათვისება. როგორც ძველი ისე ახალი სამსხვრევი დანადგარის დემონტაჟი/მონტაჟი არ არის დაკავშირებული რთულ სამშენებლო პროცესებთან, რომლისთვისაც საჭიროა მასშტაბური მიწის სამუშაოები ან სხვა ხანგრძლივი პროცედურები.

3 საპროექტო ტერიტორიის კვლევის შედეგები

3.1 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ქველი სასხვერვე-დამახარისხებელი დანადგარის დემონტაჟი და ახალი დანადგარის მონტაჟისთვის არ არის საჭირო მასშტაბური სამუშაოების ჩატარება, ისინი მარტივი და ნახევრად მობილური მოწყობილობებია. აქედან გამომდინარე დემონტაჟი/მონტაჟის სამუშაოები ძალიან ცოტახანს გასტანს (მაქსიმუმ 1 თვე), არ იქნება მტვერწარმოქმნელი სამუშაოები.

სასხვერვე დანადგარის შეცვლის შემდგომ, ოპერირების ეტაპზე მტვრის წარმოქმნისა და გავრცელების თვალსაზრისით არ არის მოსალოდნელი ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევის მნიშვნელოვანი მატება. იქიდან გამომდინარე, რომ დაზუსტდა შებენილი ახალი დანადგარის საათური მაქსიმალური წარმადობა და იგი არ აღემატება 40 მ³/სთ-ს. ხოლო მისი სამუშაო დრო განისაზღვრება წელიწადში 150 დღით და 1 ცვლიანი, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით (1200 სთ/წელ.). გზმ-ს ანგარიში მოყვანილი გაფრქვევის გაანგარიშება ჩატარებულია წელიწადში 1600 სთ-ის (200დღე x 8სთ) მუშაობის შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ 1.33 ჯერ გაზრდილი ქვიშა-ხრეშის წარმადობის ფონზე შემცირებულია წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა ზუსტად ამავე ციფრით 1.33-ჯერ, ვინაიდან ახალ დანადგარს აქვს შესაძლებლობა აწარმოოს უფრო მოკლე დროში მეტი ინერტული მასალა.

გზმ-ს ანგარიშის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან არ არის მოსალოდნელი ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის გადაჭარბება ჰაერში, ჩვენი შეფასებით, აღნიშნული რეზულტატი შენარჩუნდება.

ატმოსფერული ჰაერის მტვრის ნაწილაკებით დაბინძურებაზე შეიძლება ითქვას, რომ გაზრდილი წარმადობით შესაძლებელია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ზრდა. თუმცა იგი არ იქნება მნიშვნელოვანი და არ მოხდება მოსახლეობის შეწუხება ან ჯანმრთელობის დაზიანება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ახალი დანადგარი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

წარმადობის და სამუშაო გრაფიკის ცვლილების გათვალისწინებით ოპერირების ეტაპისთვის მომზადდება ატმოსფერულ ჰაერში მკვენი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების ახალი პროექტი და წარუდგინება სამინისტროს შესათანხმებლად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“-ის მიერ დაგეგმილი ტექნოლოგიური ცვლილებით გარემოზე და ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ხარისხი იქნება ძალიან დაბალი.

3.2 ხმაურის გავრცელება

ასფალტბეტონის ქარხანაში ძირითადი ხმაურწარმოქმნელი წყაროებია ასფალტ-ბეტონის დანადგარი, სასხვერვე-დამახარისხებელი საამქრო, ასევე ტერიტორიაზე მომუშავე მანქანები.

მოსალოდნელი ზემოქმედების განსაზღვრისათვის ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრება ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- შეირჩევა საანგარიშო წერტილები დასაცავი ტერიტორიის საზღვარზე;
- განისაზღვრება ხმაურის გავრცელების მიმართულება ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე და სრულდება გარემოს ელემენტების აკუსტიკური

განგარიშები, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგავი და ა.შ.);

- განისაზღვრება ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და ხდება მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;
- საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება ხმაურის დონის საჭირო შემცირების ღონისძიებები.

საწარმოს ტერიტორია საცხოვრებელ ზონასთან კერძოდ სოფ. შარდომეთი და ახალი ჩორდათა ახლოს მდებარეობს. საწარმოო დანადგარების განთავსების წერტილიდან დაშორების მანძილი სოფ. შარდომეთის საზღვრამდე შეადგენს 150 მ-ს, ხოლო სოფ. ახალ ჩორდამდე 600 და 890 მ-ს.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ხმაურის ძირითად წყაროებად ტერიტორიაზე მოქმედი ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ, განგარიშებისას დაშვებული იქნა, რომ შერჩეულ ნაკვეთზე ერთდროულად იმუშავენ:

- ბულდოზერი - რომლის ხმაურის დონე შეადგენს 90 დბა-ს,
- ავტოთვითმცლელი (85 დბა),
- ახალი სამსხვერვე-დამხარისხებელი საამქროს დანადგარი მექანიზმები (90 დბა)
- ასფალტის ქარხნის დანადგარი მექანიზმები (100 დბა)

დაშვებული იქნა რომ ყველა ხმაურის წყარო იმუშაებს საწარმოს ტერიტორიის ცენტრში (საწარმოს ცენტრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის, ანუ ხმაურის გავრცელების საანგარიშო წერტილის დაშორების მანძილი შეადგენს 150 მ-ს).

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები, გაიანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_p r}{1000} - 10 \lg \Omega \quad (1)$$

სადაც,

L_p - ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

Φ - ხმაურის წყაროს მიმართულებას ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება კდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r - მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე (150 მ);

Ω - ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ - სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ - სამ წიბოიან კუთხეში;

β_p - ატმოსფეროში ბგერის მიღევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ოქტავური ზოლების გეომეტრიული სიხშირეები, H3ც.	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
β_p დს/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0.1L_i} \quad (2)$$

სადაც: L_i - არის i -ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

- 1) თუ ერთ უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია ერთ ჯგუფში. მათი ჯამური ხმაურის დონე დათვლილია

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0.1L_i}$$

ფორმულით:

- 2) ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება (როგორც აღინიშნა საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან საცხოვრებელ სახლამდე უშუალოდ მანძილი ტერიტორიის ცენტრიდან მანძილი შეადგენს 150 მ-ს).

- 3) სიმარტივისთვის გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: $\alpha_{aa}=10.5$ დბ/კმ;

განგარიშება ჩატარებულია ჩამოთვლილი მანქანა-მოწყობილობის ერთდროული მუშაობის შემთხვევისთვის, ხმაურის მინიმალური კერანირების გათვალისწინებით (ანუ კველაზე უარესი სცენარი).

მონაცემების მე-2 ფორმულაში ჩასმით მივიღებთ ტერიტორიის ფარგლებში მოქმედი დანადგარ-მექანიზმების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამურ დონეს, ანუ ხმაურის დონეს გენერაციის ადგილას:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0.1L_i} = 10 \lg (10^{0.1 \cdot 90} + 10^{0.1 \cdot 85} + 10^{0.1 \cdot 80} + 10^{0.1 \cdot 75}) = 93.6 \text{ დბა.}$$

მონაცემების პირველ ფორმულაში ჩასმით მივიღებთ ხმაურის დონეს საანგარიშო წერტილში, ანუ უახლოეს რეცეპტორთან:

$$L = L_r - 15 \lg r + 10 \lg \phi - \frac{\beta_r r}{1000} - 10 \lg \Omega = 93.6 - 15 \lg 150 + 10 \lg 2 - 10.5 \cdot 150 / 1000 - 10 \lg 2 = 54 \text{ დბა}$$

როგორც ცნობილია ხმაურის გავრცელების დონეების მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია მწვანე ზოლების გამოყენებით, კერძოდ: შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციის მიხედვით 10-15 მ სიგანის მწვანე ნარგავების ზოლის საშუალებით 12-15 დბა-მდე მცირდება ხმაურისა გავრცელების დონეები. განსახილველი ასფალტის ქარხნის შემთხვევაში უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვრამდე მნიშვნელოვანი ნაწილი ტყით დაფარული ტერიტორიაა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს (იხ. სურათი 3.2.1.). გარდა ამისა სამსხვრევის განთავსების წერტილსა და საცხოვრებელ სახლს შორის არის დაახლოებით 9-10 მ სიმაღლის გეოგრაფიული ბარიერი, ბორცვი (გორა), რომელიც კიდევ უფრო შეამცირებს ხმაურის გავრცელებას უახლოესი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით (იხ. სურათი 3.2.2.-3.2.3.). აღნიშნულის გათვალისწინებით სოფ. შარდომეთის უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის გავრცელების დონეები არ გადააჭარბებს 42 დბა-ს.


განგარიშების შედეგი მოცემულია ცხრილში 3.2.1.



სურათი 3.2.1. საწარმოს ირგვლივ არსებული ტყის კორომი



სურათი 3.2.2. საწარმოსა და უახლოეს მოსახლეს შორის არსებული გეოგრაფიული ბარიერი (პორცეტი)



სურათი 3.2.3. ზღვის დონეთა სხვაობა და მისახლეობა და საწარმოს შორის არსებული გეოგრაფიული ბარიერი (ბორცვი)

ცხრილი 3.2.1 ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები

უბანი	ძირითადი მომუშავე მანქანა-მოწყობილობები	ხმაურის ექვივ. დონე გენერაც. ადგილზე, დბა	მანძილი უახლოეს რეცეპტორამდე, მ	ხმაურის ექვივ. დონე უახლოეს რეცეპტორთან, დბა	ნორმა
საწარმო ტერიტორია	<ul style="list-style-type: none"> ○ ბულდოზერი ○ თვითმგლელო ○ სამსხვრევი საამქრო ○ ასფალტის ქარხნის დანადგარი მექანიზმები 	93.6	150	42.0	<p>დღის საათებში - 50 დბა.</p> <p>ღამის საათებში - 40 დბა</p>

გათვლების მიხედვით საწარმოს ფუნქციონირების შედეგად უახლოეს საანგარიშო წერტილთან (სოფ. შარდომეთის უახლოესი საცხოვრებელი სახლი) ხმაურის დაშვებულ ნორმებზე გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

დამატებით გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების შედეგად უახლოეს მაცხოვრებელზე უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ეს გარემოებებია:

- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა ნაკლებ სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ის არ იქნება ხანგრძლივი პროცესი.

- საწარმო მუშაობს მხოლოდ დღის საათებში;
- საწარმოს ტერიტორიასა და საანგარიშო წერტილს შორის არსებობს ხშირი ხე-მცენარეული საფარი და ასევე, ტერიტორია მთაგორიანია რაც ზუნებრივი ხმაურდამცავი ეკრანის როლს შეასრულებს. აღნიშნული კიდეც უფრო შეამცირებს ხმაურის გავრცელებას საანგარო მო წერტილის მიმართულებით;

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სამსხვრევი დანადგარის ხმაურწარმოქმნის დონე გაცილებით მაღალი იყო (105 დბა), ახალთან შედარებით (90 დბა). გზშ-ში მოყვანილი (50 დბა) და სკრინინგის ანგარიშის (42დბა) მოშზადებისას ჩატარებული ხმაურის გაანგარიშებების მიხედვით უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე 8 დბა-თი შემცირდება, რაც შეგვიძლია მივიჩნიოთ ახალი დანადგარის დამონტაჟების დადებით მხარედ.

3.3 გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე შესაძლოა ითქვას, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების თვალსაზრისით რისკები ძალიან დაბალია. პროექტი არ ითვალისწინებს მასშტაბურ მიწის ან სხვა სამუშაოებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გეოლოგიური რისკები ან პროცესები, აღნიშნულის მხრივ ზემოქმედება არ არსებობს. ძველი სამსხვრევი დანადგარის და ახლის საიმონტაჟო სამუშაოები ამ მხრივ რისკის შემცველი არაა, ისინი არ საჭიროებენ მნიშვნელოვანი ს. ძირკვლების მოწყობას.

საწარმოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ჩატარებული ეკოლოგიური აუდიტის პროცესში არ გამოვლენილა რაიმე საშ.ში გეოლოგიური პროცესის განვითარების სარისკო უბნები.

3.4 ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება

უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ საწარმოში დაგეგმილი ცვლილებისთვის მასშტაბური სამუშაოები არ არის საჭირო, არსებული სამსხვრევი დაიშლება და მის ადგილას მოეწყობა ახალი. ყოველივე ეს არ გულისხმობს მიწის სამუშაოების ჩატარებას ან სხვა სამუშაოებს, რომელიც გამოიწვევს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებას, ამ მხრივ რისკები არ არსებობს.

როგორც საწარმოს გზშ-ს ანგარიშშია მოცემული ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვებისათვის მოწყობილია ჰერმეტიკული ამოსანიჩბი ორმო, რომლის პერიოდული დაცლა ხდება ადგილობრივი სამსახურების მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოო და სანიაღვრე წყლების გაწმენდისათვის მოწყობილია შესაბამისი გამწმენდი ნაგებობები (საწარმოო წყლებისათვის სალექარი, ხოლო სანიაღვრე წყლებისათვის ნავთობდამჟერი დანადგარი). შესაბამისად ჩამდინარე წყლების მართვის წესების დაცვის გათვალისწინებით წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი დაბალია.

ახალი სამსხვრევი დანადგარის მონტაჟის შედეგად სურათი არ შეიცვლება, დანადგარი ფუნქციონირებს ძველი სამსხვრევის პრინციპით (სველი მსხვრევა), აღნიშნულის გათვალისწინებით ტექნოლოგიური ცვლილება (სალექარის მოდიფიკაცია ან სხვა) არ არის საჭირო. იმის გათვალისწინებით, რომ დანადგარს ახასიათებს სხვა რაოდენობის წყალმობზარება (1ტ. მასალა საჭიროებს 3 მ³ ტექნიკურ წყალს, ძველი დანადგარის

შემთხვევაში საჭირო იყო 4 მ³) შესაბამისად, განახლდება კომპანიის ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი და წარედგინება სამინისტროს შესათანხმებლად.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება იქნება დაბალი ხარისხის.

3.5 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება

ახალი სამსხვრევი განთავსდება მედიი დანადგარის ტერიტორიაზე, ამისთვის ახალი ტერიტორიის ათვისება არ არის საჭირო. საწარმოს ტერიტორია ტექნოგენურია სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, აქედან გამომდინარე ტექნოლოგიური ხაზის ცვლილების პროცესში ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება.

რაც შეეხება ოპერირების ეტაპს, უნდა ითქვას, რომ ახალ სამსხვრევე დანადგარს აქვს თანამედროვე სისტემები, რომელიც სველთან შედარებით დახვეწილია და საიმედო. ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოპერირების ეტაპზე ზემოქმედება არ გაიზრდება და დარჩება უცვლელი.

ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი როგორც დანადგარის შეცვლის პროცესში, ისე ფუნქციონირების ეტაპებზე - ძალიან დაბალია.

3.6 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება წითელ წიგნში ან სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული მცენარეები. ტერიტორიაზე განთავსებულია რამდენიმე ხე მცენარე, რომელთა ხელყოფა არ არის დაგეგმილი.

ტერიტორიის მაღალი და ხანგრძლივი ტექნოგენური დატვირთვის გამო აქ არ გვხვდება ცხოველთა და ფრინველთა დაცული სახეობები, გარდა ამისა კომპანიის გეგმით გამოწყვეული მოკლევადიანი ზემოქმედება ძალიან დაბალი ხარისხისაა. საწარმოში დაგეგმილი ცვლილებიდან გამომდინარე (ხმაური, ემისიები), მშენებლობის ეტაპზე გამოწყვეული ზემოქმედება დაბალია და ფლორასა და ცაუნაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ვერ ექნება.

რაც შეეხება ოპერირების ეტაპს, უნდა ითქვას, რომ ახალი დანადგარი შედარებით მცირე ხმაურითა და ემისიებით ხასიათდება, აქედან გამომდინარე დაგეგმილი ცვლილება გარემოზე ზემოქმედებას, კერძოდ კი ფაუნისთვის არსებულ მდგომარეობას არ შეცვლის და ამ მხრივ ზემოქმედების ზრდას ადგილი არ ექნება.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მდ. რიონის წყლის დაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელებას, მისი სისუფთავის დაცვას და ამით იქთიოლოგიური გარემოზე ზემოქმედების არიდებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ეკოლოგიური ჩამდინარე წყლების შეგროვებისათვის მოწყობილია პერმეტული ამოსანიჩბი ორმო, ხოლო საწარმოთ და სანიაღვრე ჩამდინარე წყლებისათვის შესაბამისი გამწმენდი სისტემები (საწარმოო წყლებისათვის სასედიმენტაციო გუბურა, ხოლო სანიაღვრე წყლებისათვის ნავთობდაშვრი დანადგარი) მდინარეში დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ჩაშვების რისკი დაბალია. წარმადობის გაზრდის პროცესში, ჩამდინარე წყლების მართვის წესების დაცვის შემთხვევაში იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზემოქმედება არ გაიზრდება.

შპს ამბროლაურის ავტოგზა 10-ს დაგეგმილი ცვლილებით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალიან დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

3.7 ნარჩენების მართვა

ახალი დანადგარის მოწყობის პროცესში ადგილი ექნება ძალიან მცირე რაოდენობით არასახიფათო საშენებლო (ძირითადად მეტალი და შესაფუთი მასალები) და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას, რომლის მართვასაც კომპანია უზრუნველყოფს არსებული სათანადო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. ხოლო, რაც შეეხება ოპერირების ეტაპს სამუშაო საათების ან დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა დაგეგმილი არ არის, შესაბამისად ამ მხრივ ნარჩენების რაოდენობების ზრდა მოსალოდნელი არ არის.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხდება ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში. საწარმოს ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის დაობაზე ხელშეკრულება გამოფერმებული აქვს ქ. ამბროლაურის დასუფთავების სამსახურთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე როგორც ტექნოლოგიური ხაზის ცვლილების, ისე ოპერირების ეტაპისთვის იქნება ძალიან დაბალი.

3.8 სოციალურ გარემოზე ზემოქმედება

დაგეგმილი ცვლილების განხორციელების შედეგად პერსონალის დამატებით დასაქმება არ არის მოსალოდნელი აქედან გამომდინარე დასაქმების თვალსაზრისით ზრდა არ იქნება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალი დანადგარი გააუმჯობესებს დასაქმებული პერსონალის სამუშაო გარემოს, შეამცირებს მათზე ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეულ ზემოქმედებას, მოაწესრიგებს სამუშაო პეოცესებს და კომფორტულს გახდის მათთვის.

3.9 კუმულაციური ზემოქმედება

ამბროლაურის ავტოგზა 10-ს საწარმოს მიმდებარედ არ მდებარეობს ობიექტები, რომლებიც შეიძლება განხილული იქნეს დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციურ კრილში. შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

4 გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

ცხრილში 4.1. მოცემული შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“-ს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება, რომელიც შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

ცხრილი 4.1. შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“-ს ასფალტბეტონის საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის ცვლილების და წარმადობის გაზრდის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

№	საქმიანობის მახასიათებლები	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		შოკლე რეზიუმე
		დაბ	არა	
1.1	საქმიანობის მასშტაბი		✓	დაგეგმილი საქმიანობა არ არის მასშტაბური და შემოიფარგლება მხოლოდ ასფალტბეტონის საწარმოს შემადგენელი ნაწილის - სამსხვრევ დამახარისხებელი დანადგარის ცვლილებით/განახლებით და მისივე წარმადობის ზრდით
1.2	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		✓	შპს ამბროლაურის ავტოგზა 10-ს საწარმოს მიმდებარედ არ მდებარეობს ობიექტები, რომლებიც შეიძლება განხილული იქნეს დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციურ კრალში. კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი
1.3	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		✓	შპს ამბროლაურის ავტოგზა 10-ს განთავსების ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, ტერიტორიაზე ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. ხოლო ახალი ტერიტორიების ათვისება არ არის დაგეგმილი. მცენარეული საფარიდან გვხვდება მხოლოდ ხელოვნურად განამუშავებული, ერთეული სახეობის ერთეული ხე-მცენარე. წყლის გამოყენება ხორციელდება საწარმოს და სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სხვა დანიშნულებით წყლის

				გამოყენება არ იგეგმება.
1.4.	ნარჩენების წარმოქმნა	✓		ტექნოლოგიური საზის ცვლილების პროცესში ადგილი ექნება ერთჯერადი და ძალიან მცირე რაოდენობის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნას. ფუნქციონირების ვტაპზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენები, რომლის ზრდას ადგილი არ ექნება.
1.5.	გარემოს დაზიანებულება და ხმაური		✓	ტექნოლოგიური საზის ცვლილების პროცესში (შველი დანადგარის გატანა და ახალის მონტაჟი) ადგილი არ ექნება ხმაურის გავრცელებას. ხოლო ოპერირების ვტაპზე არსებული სურათის ცვლილება ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების გაზრდის თვალსაზრისით მოსალოდნელი არ არის. ეინაიდან ახალ დანადგარს ახასიათებს შედარებით მცირე ხმაურის (ჩდება) ემისია. სამუშაო საათების ზრდა არ იგეგმება, საწარმო იმუშავებს 8 საათიან რეჟიმში, მხოლოდ დღის საათებში.
1.6.	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		✓	დაგეგმილი საქმიანობა არ არის მასშტაბური ავარიის/კატასტროფის რისკის შემცველი.
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა				
2.1.	კარბტენიან ტერიტორიასთან		✓	საწარმოს განთავსების ტერიტორია არ არის კარბტენიანი ტერიტორიის სიახლოვეს განთავსებული.
2.2.	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან	✓		საწარმოს განთავსების ტერიტორია არ მდებარეობს შავ ზღვასთან სიახლოვეს.
2.3.	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		✓	ობიექტი არ მდებარეობს ტყით დაფარულ ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია

			საქართველოს "წითელი ნუსხის" სახეობები
2.4.	დაცულ ტერიტორიებთან	✓	ობიექტი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს
2.5.	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიათთან	✓	ობიექტი არ მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიათთან სიახლოვეს
2.6.	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან	✓	ობიექტი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან ან სხვა ობიექტებთან სიახლოვეს
საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი			
3.1.	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი	✓	ობიექტს არ ექნება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების ხასიათი
3.2.	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა	✓	ზემოქმედების ხარისხი ძალიან დაბალია

შპს „ამბროლაურის ავტოგზა N10“-ის
დირექტორი როსტომ ბერაძე

**ltd ambrolauris
avtogza#10**

Digitally signed by ltd
ambrolauris avtogza#10
Date: 2021.03.02
09:47:08 +04'00'

დანართი 1. სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის საპასპორტე მონაცემები

GM-PST03 დარტყმის ტიპის ქვის სამსხვრევი ხაზი

1. მიწოდების ბუნვერი		1 ცალი
გამომგების წელი: 2018	მუონადე ა. სრულიდ განახლებული	
მოდელი	GM10	
ტყვილია	25 მ	
ბრუნვის კვადრი	20mm α 17 A1	
ბრუნვის ხაზი	8mm α 17 A1	
უბრის მიწოდებელი	GM10	
მოდელი	GM10	
ზომები	800 x 35 - 100	
ბრუნვის წარმოება	100-150 ს	
წამები	2x4.5 - 15 - ებრის მიწვი	
ბრუნვის კვადრი	10mm α 17 A1	
ბრუნვის ბრის დილა	20mm S: 17 A1	
ბრუნვის ბი	200x200 - 10mm პროფილი	
2. ებანი-სამსხვრევი		1 ცალი
გამომგების წელი	2018, მუონადე სრულიდ განახლებული	
მოდელი	GM-K03	
ზომები	900 x 6 50 80	
წამები	75kW.	
ები	%16-18 მ. ფოლადი	
Pitman	G5 S2 ფოლადი	
Valve	G6 22 ფოლადი	
კვადრი	50 80	
ესტრუქტურული მოდელი	ჯ 4140	
სკინაბი	SKF	
სკინის სიდეგრე	ბიდეგრე ლაკური მბრუნვული რეგული	



3 ლენტეხიანი კონკეიერი		I კალი
გამოშვების წელი	2018, შპს "საქსტრედა" განახლებული	
კონკეიერის სიგანე	: 800 მმ	
კონკეიერის სიგრძე	: 6000 მმ	
წამტენი	: 7.5 kW	
რეზინის ღუნტი	: 4 ღუნტი ი 4:2 (10 მმ) EP125	
4 ლენტეხიანი კონკეიერი		I კალი
კონკეიერის სიგანე	გამომშენებლის წელი: 2020	
კონკეიერის სიგრძე	: 800 მმ	
წამტენი	: 26000 მმ	
რეზინის ღუნტი	: 15 kW	
რეზინის ღუნტი	: 4 ღუნტი ი 4:2 (10 მმ) EP125	
5 ვიბრაციული საცერი		I კალი
გამოშვების წელი	2016 შპს "საქსტრედა" განახლებული	
მოდელი	: GM-STI 4-2-460	
ზომა	: 2400 x 6000 მმ	
წამტენი	: 30 kW	
საქისარი	: 22322	
საფეხურის რაოდენობა	: 4	
გვერდითი კედელი	: 10 mm S1-37	
საფრის მსხი	: 150x100,6mm	
წვედი ფენა	: Hardx - 20mm თვლებით	
შუა ფენა	: 40 მმ პოლიურეთიანი	
ძირი ფენა	: 50მ ლითონის წაფე	
6 ლენტეხიანი კონკეიერი , გამოშვების წელი: 2020 (ახალი)		I კალი
კონკეიერის სიგანე	: 800 მმ	
კონკეიერის სიგრძე	: 16000 მმ	
წამტენი	: 11 kW	
რეზინის ღუნტი	: 4 ღუნტი ი 4:2 (10 მმ) EP125	
7 სეკონდური ფარტების ტიპის ხამხურედი, მოდელი : GMLPST03		I კალი
გამოშვების წელი:	: 2015, შპს "რადი, სრულად განახლებული	
მოდელი	: PST3	
ზომა	: 1100 x 1500 მმ	
წამტენი	: 250 kW (150)	
რეკტორი	: GS-52 ფილადი	
რეზინის ბრუნვა	: 750 კ.სმ	
კედლის ბრინი	: 16-18 M	
სამხურედი ბრინი	: 19-21 C1	
პრობური ბრინი	: 19-21 C1	
სეკონდური ბრინი	: 19-21 C1	
გამშვები ბრინი	: 19-21 C1	
Valon	: G6-22	
კედელი	: 16 mm	



8 ლენტეჯიანი კონვეიერი

1 ცალი

გამომუშავების წელი	2018 წ. (რევიზია, სრულიად განახლებული)
კონვეიერის სიგანე	: 800 მმ
კონვეიერის სიგრძე	: 4000 მმ
წამვეანი	: 4 kW
რეზინის ლენტა	: 4 ფენი -ში 4/2 (10 მმ) EP125

9 ლენტეჯიანი კონვეიერი(მოძრავი)

გამომუშავების წელი: 2020 (ახალი) 1 ცალი

კონვეიერის სიგანე	: 800 მმ
კონვეიერის სიგრძე	: 15 000 მმ
წამვეანი	: 7.5 kW
რეზინის ლენტა	: 5 ფენი -ში 4/2 (10 მმ) EP125

10 სპირალისებური ქვიშის სარეცხი

2018 წ. (რევიზია) სრულიად განახლებული 1 ცალი

ზომა	: 2x600 - 6000 მმ
წამვეანი	: 2x7.5 kW - ძრავი

11 ლენტეჯიანი კონვეიერი

გამომუშავების წელი: 2020 (ახალი) 3 ცალი

კონვეიერის სიგანე	: 600 მმ
კონვეიერის სიგრძე	: 15000 მმ
წამვეანი	: 5.5 kW
რეზინის ლენტა	: 5 ფენი -ში 4/2 (10 მმ) EP125

12 კონტეინერი სამართავი პულტი - ელექტრო სანდო

SIEMENS Trademark
კონტეინერი

გამომუშავების წელი 2020

სულ ჯამი: 182 250 აშშ დოლარი
დღე: 32 805 აშშ დოლარი
ჯამი: 215 055 აშშ დოლარი
დღე: 3 ჩაივლით

შეგარანდება მოხდება გადახდის დღე: მსგებელი საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით ლარში
მიწოდების ადგილი: საქართველო, თბილისი უნივერსიტეტის სივ. მარდინოვი
დასი მოიცავს ადგილზე მიწოდებას და მონტაჟს
გადახდის პირობა: ავანსი 50%, 40% - საქონლის (მიწოდების ადგილზე) მიწოდებისთანავე,
10% - დანადგარების ექსპლუატაციაში გაშვებისთანავე

შპს "ჯი ემ სი" სან 445503802
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
BAGAGE22
ავ: GE70BG00000017507000





ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015208057 - 17/04/2015 12:38:24

მომზადების თარიღი
23/04/2015 10:17:39

საკუთრების განყოფილება

მონა ონი	სექტორი ფარახეთი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება. ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსკებელი ფართობი: 10000.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 - 120.68 კ.მ, N2 - 12.24 კვ.მ, N3 - 9.61 კვ.მ.
88	10	27	013	

მისამართი: რაიონი ონი , სოფელი შარდლომეთი

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011294304 , თარიღი 21/06/2011 14:23:05

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწვევები N293 , დამოწმების თარიღი: 29/07/1971 , ონის რაისაბჭოს აღმასკომი

შესაკუთრები:

შპს ამბროლაურის ავტოგზა 10 , ID ნომერი: 222934243

შესაკუთრე:

შპს ამბროლაურის ავტოგზა 10

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"უმაღესო მარხის მიერ 2 წლიან ვადით საკონტრაქტო არსებული საჯარო რეესტრის რეალიზაციისას, ბერძენულ საგადასახადო წლის განხილვისას 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საბუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რას შესაძლებელია აღნიშნული უმაღესო მარხის მიერ კვლავი წარუდგინოს დეკლარაციის საგადასახადო ორგანოს, აღნიშნული ვადის დასრულების შემთხვევაშია წარმოადგენს საგადასახადო საინფორმაციო რეესტრის მის შესრულებისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ხელმოწერის გადასაცემის შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერბოვრულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის ხელისუფლების და სააგენტოს აუგორობებულ პარტნიორებში;
- ამონაწერში გეგმიური ხარჯების აღმოჩენის შემთხვევაში დაგიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეგვხვით გაბიჯება ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის ხელისუფლების ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინფორმაციო ნებისმიერ საკომიანო დაკავშირება: მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge